

**საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებები**

**საქართველოს კანონის პროექტში „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა**

**და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2014 წ. მარტში საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი ვარიანტი**

1. მისასალმებელია, რომ კოდექსის პროექტი ითვალისწინებს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის დაუშვებლობას. თუმცა, კოდექსის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალება რომ არ იყოს, სჯობს, რომ შესაბამისი რეგულაციები მკაფიოდ ჩაიწეროს კოდექსში, კერძოდ:
  - იმისათვის, რომ კოდექსის სათაური სრულად ასახავდეს მის შინაარსს, უმჯობესია, რომ კოდექსის სახელწოდებიდან ამოვიღოთ სიტყვა „უვნებლობა“. ამგვარად კოდექსი სურსათთან და ცხოველის საკვებთან დაკავშირებით მოიცავს, როგორც უვნებლობის, ისე მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საკითხების რეგულირებას. შესაბამისი შესწორებები უნდა მოხდეს კოდექსის ტექსტის სხვა ადგილებშიც.
  - გარდა ამისა, რიგი კონკრეტული წინადადებებისა იხ. კოდექსის ცვლილების პროექტის თანდართულ ვერსიაში: ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 27, მუხლი 26<sup>1</sup>, პუნქტი 3, ა) და პუნქტი 6.
2. იმისათვის, რომ კანონი მაქსიმალურად ადვილად გასაგები იყოს რიგითი მოქალაქისათვის და რაც შეიძლება ნაკლებად იყოს საჭირო სპეციალისტების დახმარება კანონის განსამარტად გთავაზობთ მცირე დამატების შეტანას ბიზნესოპერატორის განმარტებაში. იხ. ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 2, მუხლი 2, პუნქტი ყ) თანდართულ დოკუმენტში.
3. ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 2, მე-2 მუხლის პუნქტი შ) ითვალისწინებს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებას საწარმოსთვის, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 200 000 ლარს. აჯობებს, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრა საგადასახადო კოდექსის (მუხლი 88) ანალოგიურად მოხდეს, კერძოდ, 100 000 ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე საწარმოები ჩაითვალოს მცირე ბიზნესებად. ვფიქრობთ, რომ ეს სახელმწიფოს მხრიდან უფრო თანმიმდევრული მიდგომა იქნება და გამორიცხავს ამ საკითხთან დაკავშირებით გაუგებრობების წარმოქმნას. ამასთანავე, ასეთი მიდგომა უფრო მეტად დაიცავს მომხმარებლებსაც,

ვინაიდან შეღავათიანი რეჟიმი გავრცელდება უფრო ნაკლები რაოდენობის მეწარმეებზე.

4. მისასალმებელია, რომ კოდექსი ითვალისწინებს შეღავათიან რეჟიმს ტრადიციული მეთოდების გამოყენებით მომუშავე მეურნეობებისათვის. თუმცა, არ არის განსაზღვრული ის, თუ როგორ დგინდება, რომელია ტრადიციული მეთოდი და რომელია ამ მეთოდებით მომუშავე მეურნეობა. შესაბამისად, ჩვენი წინადადებაა, ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 2, მე-2 მუხლის ც) პუნქტს დაემატოს შემდეგი ფრაზა: „ტრადიციული მეთოდებისადმი მიკუთვნების საკითხი რეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით“.
5. მიკვლევადობის რეგულირება არ ითვალისწინებს კოდექსის რეგულირების სფეროში არსებული პროდუქციის შესაფუთი მასალისა და ტარის მიკვლევადობას, რაც შეიძლება ასევე საფრთხის შემცველი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცვლილებები იხ. ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 2-ში, მე-2 მუხლის 37) პუნქტში და ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 17, მე-17 მუხლის პირველ პუნქტში.
6. ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 2, მე-2 მუხლში, ყველა სხვა ტერმინისაგან განსხვავებით, რატომღაც არ არის განმარტებული **პესტიციდი**. პუნქტი 3<sup>24</sup>) მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ პესტიციდი არის "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პრეპარატი. ჩვენი აზრით, უმჯობესია, რომ ეს ტერმინიც, სხვა ტერმინების მსგავსად, აქვე განიმარტოს.
7. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის შექმნილი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ძალზე მნიშვნელოვანია კოდექსში გაიწეროს რაც შეიძლება ქმედითი მექანიზმი გამოვლენილი რისკების შესახებ ინფორმაციის გავრცელების თაობაზე. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ მცირე დამატებების შეტანას ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 9, მე-10 მუხლში.
8. გარდა ამისა, გთავაზობთ, რომ ამავე, მე-10 მუხლის მოთხოვნები საზოგადოებისათვის რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ასევე გავრცელდეს ადამიანის მოხმარებისათვის შეუსაბამო პროდუქციაზე. ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 11, მე-11 მუხლით მავნე სურსათის კატეგორიაში შედის სურსათი, რომელიც „არ არის მიზანშეწონილი ადამიანის მიერ მოხმარებისათვის“. შესაბამისად, სააგენტოს ასეთი სურსათის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც უნდა

ევალეზოდეს. გამჭვირვალობის ასეთი სტანდარტი განმტკიცებულია ევროპარლამენტის და საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის №178/2002 რეგულაციის მე-10 მუხლით. უფრო მეტიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე: C 636/11, Karl Berger v Freistaat Bayern) №178/2002 რეგულაციის მე-10 მუხლი იმგვარად განმარტა, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოების კანონმდებლობა არ უნდა ზღუდავდეს და სახელმწიფოს ვალდებულებაა საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია პროდუქტის სახელწოდების, სავაჭრო ნიშნის, მწარმოებლის ან დისტრიბუტორის ზუსტი დასახელების შესახებ „იმ შემთხვევებშიც კი როდესაც პროდუქტი არ არის მავნებელი ჯანმრთელობისთვის, მაგრამ შეუსაბამოა ადამიანის მიერ მოხმარებისათვის“.

9. მნიშვნელოვანია, რომ კოდექსის პროექტში ნათლად განისაზღვროს სახელმწიფო სტრუქტურების ოპერატიული რეაგირების ვალდებულება მომხმარებელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიმართებზე. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი წინადადებაა ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 10, მუხლი 10<sup>1</sup> პარ. 6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, სააგენტოს მიერ ხორციელდება ოპერატიული რეაგირება იმ შეტყობინებაზე, რომელიც იძლევა შემტყობინებელი პირისა და შეტყობინებაში ასახული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას“.

რეაგირებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მიღებულ ინფორმაციას გაითვალისწინებენ მომავალი წლის კონტროლის გეგმის შედგენისას. ასეთი პრაქტიკა არსებობდა 2012 წ. სეს-ში ხელმძღვანელობის შეცვლამდე. ამიტომ ჩვენი წინადადებაა, რომ კანონმა შექმნას უფრო მტკიცე საფუძველი მომხმარებელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათაგან მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირებისა და ეს არ იყოს მხოლოდ სეს-ის ხელმძღვანელობის კეთილ ნებაზე დამოკიდებული.

10. მისასალმებელია კოდექსის ცვლილებების პროექტით გათვალისწინებული „ბიზნესოპერატორის აღიარების“ მექანიზმის შემოღება. თუმცა, კოდექსის ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 15, მე-13 მუხლის მიხედვით, აღიარებას ექვემდებარება ის ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობის სფერო განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“ ამგვარად, კოდექსის ცვლილების პროექტიდან გაუგებარი რჩება თუ რის საფუძველზე განისაზღვრება ეს სფერო? უმჯობესია, რომ კანონში ეწეროს, როგორც მინიმუმ, რაიმე საფუძველი, რომელსაც შემდგომში დაეყრდნობა (სავარაუდოდ მეორადი) კანონმდებლობა, კერძოდ, როგორც ეს ევროკავშირის ქვეყნებშია, აღიარება გავრცელდეს ცხოველური

წარმოშობის სურსათის ბიზნესოპერატორზე. შესაბამისი ცვლილებები იხ. დანართში.

11. მსგავსადვე რეგულირდება საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა (ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 18, მუხლი 17<sup>1</sup> პარ. 5). კერძოდ, სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის სახეები, რომელთათვისაც სავალდებულო იქნება ზემოხსენებული სისტემის დანერგვა განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტებით. ვთვლით, რომ ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ კანონითვე უნდა იყოს განსაზღვრული როგორც მინიმუმ, რაიმე საფუძვლები, რომლებსაც შემდგომში დაეყრდნობა შესაბამისი ნორმატიული აქტები. ასეთი მიდგომა უფრო მყარ გარანტიებს შექმნის იმისათვის, რომ მომავალში მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ არ მოხდეს სერიოზული გამონაკლისების დაწესება და მოთხოვნების, ხანგრძლივი დროით გადავადება;
12. მისასალმებელია ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 19, მე-18 მუხლში მითითება გენეტიკურად მოდიფიცირებულ სურსათსა და ინგრედიენტებზე. თუმცა იმის გამო, რომ ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 2, მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი განსაზღვრავს „გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმს“ და არა გენეტიკურად მოდიფიცირებულ სურსათს ან მის ინგრედიენტს, ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მე-18 მუხლშიც იგივე ტერმინი იყოს გამოყენებული. გარდა ამისა, ეტიკეტირების მოთხოვნა უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ გმო-ს შემცველ სურსათზე, არამედ მისგან წარმოებულ სურსათზეც (იხ. ზუსტი ფორმულირება თანდართულ დოკუმენტში).
13. მისასალმებელია ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 19, მე-18 მუხლში ტერმინების „ბიო“ „ეკო“ „ორგანული“ გამოყენების კანონით დარეგულირება. თუმცა მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის კიდევ ერთი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ტერმინი „ნატურალური“. სასურველია კანონმა მისი გამოყენების ფარგლებიც დაადგინოს. გთავაზობთ ფორმულირებას, რომელიც ეყრდნობა ამ ტერმინის ერთადერთ რეგულირებას საერთაშორისო დონეზე - ნატურალურ და სინთეზურ არომატიზატორების განსაზღვრას კოდექს ალიმენტარიუსის CAC/GL 66-2008 სტანდარტის მიხედვით<sup>1</sup>: „ტერმინის „ნატურალური“

<sup>1</sup> იხ. [http://www.codexalimentarius.org/download/standards/11020/cxg\\_066e.pdf](http://www.codexalimentarius.org/download/standards/11020/cxg_066e.pdf)

გამოყენება ეტიკეტზე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის/ცხოველთა საკვების და მისი ინგრედიენტების წარმოებისას არ არის გამოყენებული ქიმიური სინთეზის პროცესები.“

14. სააგენტოს ვალდებულებების განსახორციელებლად ვეტერინარული პრეპარატების, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების კონტროლთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ბიზნესოპერატორების ვალდებულებებს ვეტერინარულ პრეპარატებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების სფეროში დაემატოს იგივე მოთხოვნები, რაც ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 20, მუხლი 18<sup>1</sup>-ის მიხედვითაა გათვალისწინებული სურსათის/ცხოველის საკვების სფეროში. ამასთან დაკავშირებით მთლიანად გადასახედია ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 20, მუხლი 18<sup>1</sup>, 18<sup>2</sup>, 18<sup>3</sup>.

15. მოქმედი კოდექსის მუხლი 19, პუნქტი 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლს, ასევე ვეტერინარულ და მცენარეთა დაცვის სფეროებში დაავადებათა პროფილაქტიკას საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სააგენტო.“

მთავარი ცვლილება, რასაც ამ რედაქციით გთავაზობთ არის ის, რომ მხოლოდ ერთი უწყება, ამ შემთხვევაში, სააგენტო იყოს პასუხისმგებელი სახელმწიფოში სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე და ეს პასუხისმგებლობა არ იყოს განაწილებული ორ სხვადასხვა უწყებას (სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურს შორის). მიგვაჩნია, რომ ამ ცვლილებას შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს სახელმწიფო კონტროლის კოორდინირებულ და თანმიმდევრულ მუშაობასა და ეფექტიანობის თანდათანობით ზრდას.

გარდა ამისა, ამ რედაქციიდან ამოღებულია სიტყვა „უვნებლობა“. ამასთან დაკავშირებით იხ. პირველი რეკომენდაცია.

და ბოლოს, ამ მუხლს დამატებული აქვს „ვეტერინარულ და მცენარეთა დაცვის სფეროებში დაავადებათა პროფილაქტიკა“, რასაც სააგენტო რეალურად ახორციელებს და, შესაბამისად, საჭიროა კოდექსში ამის სათანადოდ ასახვაც.

16. სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ქმედით საშუალებად, მისი შედეგების სრული საჯაროობა მიგვაჩნია. ამან

შეიძლება უფრო მეტი სტიმული შეუქმნას მეწარმეებს, რომ კანონის ყველა მოთხოვნა შეასრულონ, ვიდრე სანქციებს, ვინაიდან მათ მიერ ჩადენილი დარღვევები ხელმისაწვდომი იქნება მათი პროდუქციის მომხმარებლებისათვის და, შესაბამისად, პროდუქციის რეალიზაციის რისკები იზრდება. კონტროლი შედეგების საჯაროობა აპრობირებული მეთოდია დასავლეთის ბევრ ქვეყანაში. მართალია 2013 წ. სეს-მა დაიწყო კონტროლის შედეგების ნაწილის საკუთარი ინიციატივით გამოქვეყნება და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე ასეთი ინფორმაციის გაცემა, მაგრამ ეს საკითხი ცალსახად არ არის დარეგულირებული კანონმდებლობით და განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

იმისათვის, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ რაიმე გაუგებრობა და სეს-ის ქმედების კანონიერება ამ კუთხით არ დადგეს ეჭვის ქვეშ, ჩვენი წინადადებაა ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 26, 26-ე მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით: „სახელმწიფო კონტროლის შედეგები არის საჯარო“.

17. ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 27, მუხლი 26<sup>1</sup>, პუნქტ 4, ბ)-ს აუცილებელია დაემატოს მოთხოვნა სურსათის მომხმარებლისგან გამომდინარე თაობაზე, ვინაიდან ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 20, მუხლი 18<sup>1</sup>, პუნქტი 2 უკვე ითვალისწინებს სურსათის მომხმარებლისგან გამომდინარე თაობაზე.
18. ჩვენი აზრით, საქართველოს სურსათის უვნებლობის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაკლოვანება კონტროლის მასშტაბების შეზღუდულობაა. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად შესაბამისი სისტემის შესაქმნელად კოდექსის დონეზე უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ გარკვეული ვალდებულებები აღებული. ჩვენი წინადადებაა მოქმედი კოდექსის 27-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს ფრაზა: „სახელმწიფო კონტროლის მასშტაბები გამოვლენილი რისკების ადეკვატური უნდა იყოს“.
19. კორუფციისა და მიკერძოების მინიმუმამდე შესამცირებლად კოდექსში სათანადოდ უნდა აისახოს ინტერესთა კონფლიქტის საკითხები. ამასთან დაკავშირებით ჩვენი წინადადებები იხ. ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 40, მუხლი 62.
20. ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 41, 63-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 44, 68-ე მუხლის ცვლილების შემთხვევაში გაუგებარია რა ქმედება უნდა განახორციელოს

მაკონტროლებელმა ორგანომ შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში. ვთვლით, რომ ეს საკითხი გასწორებას საჭიროებს. უფრო კონკრეტული შენიშვნა იხ. თანდართულ დოკუმენტში.

21. განსაზღვრული ჯარიმები, ჩვენი აზრით, ძირითადად, არაადეკვატურია. ერთი მხრივ, კანონის დამრღვევს შეიძლება გაცილებით იაფი დაუჯდეს ამ ჯარიმების გადახდა, ვიდრე კანონიერი მოთხოვნის შესრულება, ვინაიდან ჯარიმების ოდენობები არ ითვალისწინებს დარღვევის მასშტაბსა და კანონის დამრღვევის ფინანსურ შესაძლებლობებს. მეორე მხრივ, ერთი და იგივე დარღვევისათვის მცირე და მსხვილი საწარმოს ერთი და იგივე თანხით დაჯარიმება არაპროპორციული სანქციაა და, კონკურენტულ ბრძოლაში კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის მსხვილ საწარმოებს, მცირე საწარმოების ხარჯზე.

გარდა ამის, ჯარიმების ნაწილი სათანადოდ არ ითვალისწინებს ვეტერინარული პრეპარატების, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების რეალიზაციისას მოსალოდნელ დარღვევებს.

ასე რომ, ჯარიმების ნაწილი, ჩვენი აზრით, მთლიანად გადასახედია. ამასთან დაკავშირებით ჩვენი წინადადებები იხ. კოდექსის პროექტის თანდართულ ვერსიაში. ჩვენი წინადადებაა, განსხვავებული ოდენობის ჯარიმების შემოღება 500 000 ლარამდე და 500 000 ლარს ზევით წლიური ბრუნვის მქონე საწარმოებისათვის. ამავე დროს, ვინაიდან ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებას 200 000 ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე საწარმოებისათვის, შესაძლებელია ჯარიმების განსაზღვრისას კიდევ ერთი კატეგორია იქნას შემოტანილი და განსხვავებული ჯარიმები დაწესდეს ა) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოებისათვის (ანუ 200 000, ან 100 000 ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე საწარმოებისათვის), ბ) 200 000, ან 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე საწარმოებისათვის და გ) 500 000 ლარის ზევით წლიური ბრუნვის მქონე საწარმოებისათვის.

22. ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 41, 63-ე მუხლის პირველ პუნქტში კი არის მითითება, რომ პასუხისმგებლობები განისაზღვრება ამ კანონით და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითაც, მაგრამ აღსრულების პროცესში სირთულეებისა და გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, ვთვლით, რომ უმჯობესია ამ სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ერთად იყოს თავმოყრილი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“, მით უფრო, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლები ამჟამად

განახლებას საჭიროებს და შეიძლება ნაწილობრივ სურსათის კოდექსის დუბლირებასაც ახდენდეს. წარმოგიდგინო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლების ჩამონათვალს, რომლებიც სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებს ეხება:

- მუხლი 43. სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევა.
- მუხლი 44. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების ჰიგიენური სერტიფიკატის ან/და ნებართვის გარეშე ობიექტის ფუნქციონირება და პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია.
- მუხლი 44<sup>4</sup>. არაიდირებული მარილის რეალიზაცია, ვადაგასული იოდირებული მარილის იმპორტი და რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების იმპორტი.
- მუხლი 58. წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა.
- მუხლი 98<sup>1</sup>. პასუხისმგებლობა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის.
- მუხლი 155. ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა.
- მუხლი 155<sup>4</sup>. ფართო მოხმარების საქონლის, ტანსაცმლის, სპორტული ინვენტარის, სათამაშოების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და კვების პროდუქტების რეალიზაციის წესების დარღვევა.
- მუხლი 158<sup>1</sup>. მომხმარებლის უფლებების შელახვა (სურსათის სააგენტო, სურსათი სფეროში იმოქმედებს).
- მუხლი 164<sup>5</sup>. კვების პროდუქტების უკანონო წარმოება.
- მუხლი 179<sup>4</sup>. საგამოცდო ლაბორატორიის მიერ ღვინის ლაბორატორიული გამოცდის ოქმის გაყალბება, სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ღვინის სერტიფიკატის გაყალბება.
- მუხლი 179<sup>5</sup>. ღვინის სერტიფიკატში მითითებული პროდუქციის შეუსაბამო პროდუქციის საექსპორტო პარტიაში განთავსება ან ექსპორტი.
- მუხლი 177<sup>11</sup>. ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერების, აგრეთვე პროდუქციის (ნედლეულის) წარმოება-რეალიზაციის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების დადგენილების (მიწერილობის) შეუსრულებლობა.
- მუხლი 164<sup>5</sup> კვების პროდუქტების უკანონო წარმოება.
- მუხლი 149. სასმელი წყლის უკანონო მოხმარება და წყალარინების ქსლით უკანონო სარგებლობა.
- მუხლი 179<sup>3</sup>. მავნებელი ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაცია.



23. გაუგებარია, თუ რატომ ხდება ცვლილების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 41, 76-ე მუხლით ცვლილებების პროექტის მუხლი 1, ნაწილი 26--28-ით გათვალისწინებული ცვლილებების გადავადება. ეს ნაწილები მოიცავს მოქმედი კოდექსის დიდ ნაწილს -- სახელმწიფო კონტროლის გახორციელებას.
24. მიუღებელია ცვლილების პროექტის მუხლი 2, ნაწილი 2, რომლითაც 2020 წლამდე არის გადავადებული „ბიზნესოპერატორის“ განმარტების გავრცელება არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ აგრეთვე ფიზიკურ პირებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეალობაში სურსათის/ცხოველთა საკვების წარმოება/დისტრიბუციაში და აგრეთვე ვეტპრეპარატებისა და აგროქიმიკატების დისტრიბუციასა და გამოყენებაში ჩართული პირების უმრავლესობა ფიზიკური პირია, ასეთი გადავადება სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფას ახლო მომავალში, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.

**ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი**

**კავშირი 21-ე საუკუნე**

**საზოგადოებრივი ორგანიზაცია „გარემო, რისკი და საზოგადოების უფლებები“**

**სასურსათო პროდუქტების ექსპერტთა ასოციაცია**

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი**